ანა დოლიძე

კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

“2024 წლის 8-12 აპრილს, Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, შესაძლებლობა მქონდა მონაწილეობა მიმეღო კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის მიერ (Krakow University of Economics) ორგანიზებულ მეექვსე საერთაშორისო კვირეულში (6th International Week).

აღნიშნული მობილობის ფარგლებში, მონაწილეებს შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით კრაკოვის, როგორც კულტურული და ისტორიული ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და ასევე ვორკშოპებისა და ტრენინგების საშუალებით მიგვეღო თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: კრეატიულობა, ადგილის ბრენდინგი, ღონისძიების მენეჯმენტი, ორგანიზება და სხვა. გარდა სასწავლო და აკადემიური თემებისა, დაგეგმილი იყო მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებები, ვიზიტი კრაკოვის ეროვნულ მუზეუმსა და გალერეაში.

მნიშვნელოვანი იყო ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. აღნიშნული გამოცდილება ღირებული იყო, ვინაიდან ყველა მონაწილეს მოგვეცა საშუალება განგვეხილა სამომავლო თანამშრომლობისა და ერთობლივი ძალისხმევით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზების შესაძლებლობა.”